



ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი 2019





შეჯიბრის წესები

1. ზოგადი დებულებები

1.1 შეჯიბრი

1.1.1 ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო პროცესი (შემდგომში „შეჯიბრი“) წარმოადგენს ყოველწლიურ საგანმანათლებლო ხასიათის შეჯიბრს, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოში აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სასწავლებლების სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებისაგან შემდგარი გუნდი.

1.1.2 შეჯიბრის ორგანიზებას და ჩატარებას, GIZ-ის სამართლის პროგრამის მხადაჭერით, უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტი და სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (შემდგომში „ორგანიზატორი“).

1.1.3 შეჯიბრის მიზანია უზრუნველყოს სტუდენტებში ევროკავშირის სამართლის ცოდნის ამაღლება და ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მათ ევროკავშირის სამართლის მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხებზე. ამასთანავე, შეჯიბრი მიზნად ისახავს სტუდენტებში ადვოკატირების, წერიითი, ზეპირი და სამართლებრივი კვლევის ჩატარების უნარების გამომუშავებას.

1.1.4 შეჯიბრი არის სრულად საგანმანათლებლო ხასიათის და მისი მიზანი არ არის მოგების ან რაიმე სხვა სახის ფულადი სარგებლის მიღება.

1.2 გუნდების რეგისტრაცია

1.2.1 შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია რეგისტრაცია, რომლის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს შეჯიბრის ორგანიზატორი. რეგისტრაცია შედგება ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო ფორმის შევსების გაგზავნისაგან, რომელიც უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესებით დადგენილი პირობებისა და ვადის დაცვით.

1.2.2 თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეავსოს ორგანიზატორის მიერ დაწესებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელშიც უნდა მიეთითოს უნივერსიტეტის დასახელება, ჯგუფის წევრების სახელი, საკონტაქტო ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა, ჯგუფის მწვრთნელის სრულყოფილი საკონტაქტო ინფორმაცია - სახელი, გვარი, სამსახურებრივი



პოზიცია, სააკონტაქტო

ტელეფონი და ელ.ფოსტა. ამასთანავე, ჯგუფმა უნდა მიუთითოს საკონტაქტო პირი, რომელსაც დაუკავშირდება ორგანიზატორი ნებისმიერი საკითხის შეთანხმებისას.

1.2.3 შეჯიბრში რეგისტრაცია და მონაწილეობის მიღება არის უფასო. შეჯიბრის სარეგისტრაციო მოთხოვნებსა და წესებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, გუნდების საკონტაქტო პირებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

1.3 შეჯიბრის კაზუსი

1.3.1 2019 წლის შეჯიბრის კაზუსის სამართლებრივი საკითხები დაკავშირებული იქნება ევროკავშირის სამართლის სხვადასხვა სფეროსთან. პოზიციის მომზადებისას მონაწილე ჯგუფები უფლებამოსილები არიან გამოიყენონ ევროკავშირის სამართლის წყაროები, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებები.

1.3.2 შეჯიბრის კაზუსი შედგენილია ორგანიზატორის მიერ. კაზუსი სრულად ჰიპოთეტური ხასიათისაა და მასში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები არ ასახავს რეალობას.

1.3.3 შეჯიბრში მონაწილე ჯგუფებს კაზუსი გადაეგზავნებათ რეგისტრაციის გავლის შემდეგ. კაზუსის გადაგზავნა განხორციელდება იმ ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც ჯგუფებს მითითებული ექნებათ სარეგისტრაციო განაცხადში. კაზუსის მიღების თარიღი ჯგუფებს ეცნობებათ მათი საკონტაქტო პირის საშუალებით, წინასწარ, არანაკლებ 1 დღითადრე.

1.3.4 კაზუსის ოფიციალურად გადაგზავნის შემდეგ, ჯგუფებს აქვთ არაუმეტეს შვიდი დღე, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ ორგანიზატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გამოაგზავნონ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული დამაბუსტებელი კითხვები. დამაბუსტებელი კითხვები გამოგზავნილი უნდა იქნას ერთიან დოკუმენტში „.pdf“ ფაილის სახით. დამაბუსტებელი კითხვები არ უნდა შეეხებოდეს ფაქტების სამართლებრივ შეფასებას.


1.3.5 დამაბუსტებელ შეკითხვებზე პასუხი ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნებათ ჯგუფების საკონტაქტო პირებს. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს შეჯიბრის კაზუსის ნაწილს და ჯგუფები უფლებამოსილები არიან დაეყრდნონ მათ, როგორც წერილობითი დოკუმენტის შედგენისას ისე ზეპირი გამოსვლისას.

1.4 შეჯიბრის სტრუქტურა

1.4.1 შეჯიბრი შედგება წერილობითი და ზეპირი ნაწილისაგან. შეჯიბრის ზეპირი ნაწილი შედგება შესარჩევი, ნახევარფინალური და ფინალური ეტაპებისგან.

1.4.2 დარეგისტრირებულ ჯგუფებს ჩაუტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა შეჯიბრის წესებთან დაკავშირებით;

1.4.3 დარეგისტრირებულ ჯგუფებს ჩაუტარდებათ სწავლება ევროკავშირის სამართლის





საფუძვლებთან

დაკავშირებით (ხანგრძლივობა-1 დღე)

1.5 შეჯიბრის ენა

1.5.1 შეჯიბრი ტარდება ქართულ ენაზე. ყველა წერილობითი დოკუმენტი, მათ შორის ნებისმიერი კორექსიონდენცია და ზეპირი გამოსვლები უნდა ჩატარდეს ქართულ ენაზე. აღნიშნული წესი არ ზღუდავს ჯგუფებს მოიძიონ შეჯიბრისათვის საჭირო ნებისმიერი უცხოენოვანი ლიტერატურა და გამოიყენონ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად.

2. შეჯიბრში მონაწილეობა და დაშვების კრიტერიუმები

2.1 მონაწილე გუნდები

2.1.1 შეჯიბრში მონაწილეობის უფლება აქვთ საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდებს. ერთი უნივერსიტეტიდან შესაძლებელია რეგისტრაცია გაიაროს ერთმა ან რამდენიმე გუნდმა.

2.1.2 შეჯიბრში მონაწილე გუნდი უნდა შედგებოდეს არანაკლებ ორი და არაუმეტეს ოთხი წევრისაგან. მწვრთნელი ჯგუფის მონაწილეების რაოდენობაში არ ითვლება.

2.1.3 გუნდს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული 2016 წლის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული პროცესის ფინალურ (ზეპირ) ეტაპზე.


2.2 გუნდების შემადგენლობა

2.2.1 შეჯიბრზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დაუშვებელია განხორციელდეს ჯგუფების შემადგენლობის ცვლილება. გამონაკლისია საპატიო მიზეზის არსებობა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ორგანიზატორს. ცვლილების დადასტურებაზე გადაწყვეტილებას იღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

2.2.2 შეჯიბრში მონაწილე ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს პირი, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: შეჯიბრის ჩატარების მომენტისათვის აქვს სტუდენტის სტატუსი და იმყოფება სამართლის სკოლის/იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე.

2.2.3 წინამდებარე წესების 2.2.2. მუხლით დადგენილი კრიტერიუმების დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას და მის მიერ აღებული ყველა შედეგი უქმდება.

2.3 გუნდის მწვრთნელი





2.3.1 თითოეულ გუნდს უნდა ჰყავდეს მწვრთნელი, რომლის ვინაობაც და საკონტაქტო ინფორმაციაც მითითებული უნდა იქნას სარეგისტრაციო განაცხადში.

2.3.2 გუნდის მწვრთნელმა დახმარება უნდა გაუწიოს გუნდს შემდეგ საკითხებში: სამართლებრივი კვლევის და წერილობითი დოკუმენტის მომზადების ტექნიკა; სამართლის ზოგად პრინციპებზე და ევროპის სამართალთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის დახმარების აღმოჩენა; ზეპირი გამოსვლისათვის მომზადება და სტრატეგიის შემუშავება.

2.3.3 გუნდის მწვრთნელი უფლებამოსილი არ არის თვითონ დაწეროს წერილობითი დოკუმენტი ან/და გუნდს გაუწიოს იმგვარი დახმარება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპებთან.

2.3.4 თითოეულ გუნდს შესაძლებელია ჰყავდეს მხოლოდ ერთი მწვრთნელი.

2.3.5 ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილი იქნება მოახდინოს მონაწილე გუნდის დისკვალიფიკაცია და გააუქმოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შედეგი.

2.3.6 გუნდის მწვრთნელი და გუნდის წევრები დაუშვებელია იყვნენ ერთი და იმავე აკადემიური ხარისხის მქონე/კანდიდატი პირები.

3. წერილობითი დოკუმენტი

3.1. წერილობითი დოკუმენტის წარდგენა

3.1.1 თითოეული გუნდი ვალდებულია წარადგინოს წინამდებარე წესების დაცვით შესრულებული წერილობითი დოკუმენტი, როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციისათვის. თითოეული დოკუმენტის წარდგენა უნდა განხორციელდეს ჯგუფის საკონტაქტო პირის მიერ, ორგანიზატორის მიერ დაწესებული ვადების დაცვით.


3.1.2 წერილობითი დოკუმენტი წარდგენილი უნდა იქნას ელექტრონულად „PDF“ ფორმატში

3.1.3 წერილობითი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ ჯგუფებს უფლება არ აქვთ რაიმე სახით შეცვალონ და განმეორებით წარადგინონ წერილობითი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა ვადაზე ადრე წარადგენენ მას თუ არა.

3.1.4 წერილობითი დოკუმენტის გადაგზავნა უნდა განხორციელდეს ორგანიზატორის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, დაწესებული ვადის ბოლო დღის არაუგვიანეს 23:59 სთ-ზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯგუფი ექვემდებარება ავტომატურ დისკვალიფიკაციას.

3.2 წერილობითი დოკუმენტის შინაარსი

3.2.1 მოსარჩელისა და მოპასუხის წერილობითი დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:



- თავფურცელი
- სარჩევი
- ბიბლიოგრაფია
- ფაქტების მოკლე მიმოხილვა
- მხარეთა არგუმენტები

3.2.2 ჯგუფებს უფლება აქვთ წერილობით დოკუმენტში გაითვალისწინონ სხვა ისეთი ნაწილები, რაც მითითებული არ არის 3.2.1 მუხლში.

3.3 წერილობითი დოკუმენტის მოცულობა

ჯგუფების მიერ წარდგენილი წერილობითი დოკუმენტები, როგორც მოსარჩელის ისე მოპასუხის პოზიცია, არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ხუთი ათასი) სიტყვას. აღნიშნულ რაოდენობაში მოისაზრება დოკუმენტის მთლიანი მოცულობა, მათ შორის 3.2.1 მუხლით გათვალისწინებული ნაწილების ჩათვლით.

3.4 სტილისტური მოთხოვნები

3.4.1 თითოეული წერილობითი დოკუმენტი შედგენილი უნდა იქნას შემდეგი სტილისტური მახასიათებლებით:


- დოკუმენტის ფორმატი - PDF
- ფონტი - Sylfaen
- ძირითადი ტექსტის ფონტის ზომა - 12
- სქოლიოს ფონტის ზომა - 10
- დაშორება სტრიქონებს შორის - 1.5

3.4.2 დოკუმენტის სარჩევი და ბიბლიოგრაფია დანომრილი უნდა იქნას რომაული (I, II, III....), ხოლო ფაქტები და მხარეთა არგუმენტები არაბული (1,2,3....) რიცხვებით.

3.5 თავფურცელი

წერილობითი დოკუმენტის თავფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ მახასიათებლებს:

- გუნდის სახელწოდება, წევრებისა და მწვრთნელის სახელები
- მხარეთა დასახელება
- პოზიციის დასახელება





➤ თარიღი

3.6 სქოლიო

3.6.1 სქოლიოში მითითებული უნდა იქნას ის ავტორები, სასამართლოს გადაწყვეტილებები და სხვა სამართლებრივი წყაროები, რომელსაც ჭკუფი უშუალოდ იყენებს წერილობით დოკუმენტში.

3.6.2 სქოლიოს მითითებისას, ჭკუფები არ არიან შეზღუდულნი გამოიყენონ მათთვის სასურველი საერთაშორისო სტანდარტი. სქოლიოს მითითების შეფასებისას მხედველობაში მიღებული იქნება მისი ერთგვაროვნება მთლიან წერილობით დოკუმენტში.

3.7 ფაქტების აღწერა

3.7.1 ფაქტების აღწერა არ უნდა აღემატებოდეს 500 (ხუთას) სიტყვას.

3.7.2 ფაქტების აღწერაში მითითებული უნდა იქნას ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც რელევანტურია საქმისთვის და შეესაბამება მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

3.7.3 ფაქტების აღწერაში არ უნდა განხორციელდეს სამართლებრივი შეფასება. დაუშვებელია ფაქტობრივი გარემოების დამატება ან/და გამოკლება.

3.8 მხარეთა არგუმენტები

3.8.1 თითოეულ წერილობით დოკუმენტში მხარეთა არგუმენტები არ უნდა აღემატებოდეს 4500 (ოთხი ათას ხუთას) სიტყვას.

3.8.2 მხარეთა არგუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ლოგიკური სტრუქტურის სახით და შესაძლებელი უნდა იქნას მასში სამართლებრივი პრობლემის და მისი გადაჭრის გზის ნათლად იდენტიფიცირება.


4. ზეპირი ეტაპი

4.1 ზოგადი დებულება

4.1.1 ზეპირ ეტაპზე მონაწილეობას მიიღებს წერილობითი დოკუმენტისა და გასაუბრების ეტაპის შედეგად შერჩეული 8 საუკეთესო ჭკუფი. იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრზე რეგისტრაციას გაივლის 8 ან ნაკლები გუნდი, წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში ისინი ავტომატურად მოხვდებიან ზეპირ ეტაპზე.

4.1.2 ზეპირი ეტაპი ჩატარდება სამ ნაწილად - შესარჩევი, ნახევარფინალური და ფინალური თამაშები.

4.1.3 ზეპირი ეტაპისათვის ჭკუფების განაწილება განხორციელდება ფარული კენჭისყრის





საფუძველზე.

კენჭისყრაზე წარმოდგენილი იქნება თითოეული მონაწილე ჯგუფის საკონტაქტო პირი.

4.1.4 ზეპირი ეტაპის გამართვის ადგილს უზრუნველყოფს ორგანიზატორი, რომელიც ჯგუფებს წინასწარ ატყობინებს აღნიშნულის შესახებ.

4.2 ზეპირი მოსმენები

4.2.1 შესარჩევ ეტაპზე თითოეული ჯგუფი ვალდებულია მოამზადოს როგორც მოსარჩელის ისე მოპასუხის პოზიცია. ნახევრინალურ/ფინალურ ეტაპზე გადასული ჯგუფები წარადგენენ კენჭისყრის შედეგად შერჩეულ მხოლოდ ერთ - მოსარჩელის ან მოპასუხის პოზიციას. იმ შემთხვევაში თუ, ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან ის ჯგუფები, რომლებიც ნახევარფინალურ ეტაპზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თითოეული ჯგუფი წარადგენს მათი შეხვედრისგან განსხვავებულ პოზიციას (პოზიციები იცვლება).

4.2.2 ზეპირი მოსმენებისათვის განკუთვნილი სრული დრო (მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების ჩათვლით) არის 65 წუთი, რომელიც გადანაწილებული უნდა იქნეს შემდეგი სახით:

- მოსარჩელე მხარის გამოსვლა - 30 წუთი
- მოპასუხე მხარის გამოსვლა - 30 წუთი
- შემაჯამებელი სიტყვა თითოეული გუნდისთვის - 2.5 წთ

4.2.3 ზეპირ გამოსვლაში თითოეული ჯგუფიდან მონაწილეობს 2 წევრი. მონაწილეებს უფლება აქვთ მათთვის განკუთვნილი 30 წუთი გაანაწილონ ერთმანეთში, მათი შეხედულების მიხედვით.

4.2.4 მოსამართლეებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს დაუსვან კითხვა ჯგუფის მონაწილეს, რომელიც წარადგენს მოსარჩელის/მოპასუხის პოზიციას. ჯგუფი ვალდებულია მისი პოზიცია წარადგინოს 4.2.1 მუხლით გათვალისწინებულ დროში, მიუხედავად მოსამართლეების მხრიდან დასმული შეკითხვების რაოდენობისა. მოსამართლეს უფლება აქვს მხარის შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე დაუმატოს დრო, არაუმეტეს 2 წუთის ოდენობით.


4.2.5 ჯგუფები შეზღუდულები არ არიან მათ მიერ წარმოდგენილი წერილობით დოკუმენტში მითითებული არგუმენტებით. ჯგუფებს უფლება აქვთ ზეპირ ეტაპზე წარადგინონ არგუმენტები, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო მათ მიერ წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტში.

4.3 მოსამართლეები

4.3.1 ზეპირი ეტაპის თითოეულ თამაშს განსჯის მოსამართლეებისაგან შემდგარი კოლეგია, რომელთა შერჩევასაც მთლიანად ახორციელებს შეჯიბრის ორგანიზატორი.

4.3.2 პირი არ შეიძლება იყოს მოსამართლე იმ ჯგუფის გამოსვლაზე, რომელსაც უწევს დახმარებას ამ წესების 2.3 მუხლის მიხედვით. ამასთანავე, მოსამართლე ვერ იქნება პირი იმ თამაშზე, სადაც ჯგუფის რომელიმე წევრთან განსაკუთრებული ურთიერთობის გამო (ნათესაური, პედაგოგიური და სხვა), ეჭვქვეშ დადგება მოსამართლის მიუკერძოებლობა.

4.3.3 თითოეულ ჯგუფს უფლება აქვს დააყენოს მოსამართლის აცილების საკითხი, რომელზეც გადანაცვლებას ადგილზე მიიღებს შეჯიბრის ორგანიზატორი.





4.4 კომუნიკაცია

4.4.1 ზეპირი გამოსვლის მიმდინარეობისას აკრძალულია ვერბალური სახის რაიმე ტიპის კომუნიკაცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის წევრებს, მათ შორის მათ ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს ზეპირ ეტაპზე, უფლება აქვთ წერილობითი სახით მიაწოდონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია ჯგუფის დანარჩენ წევრებს.

4.4.2 იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წევრი ხელს უშლის პროცესის მიმდინარეობას, მოსამართლეთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია მას მოეთხოვოს დარბაზის დატოვება.

4.4.3 ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ გამოიყენონ ელექტრონული ხელსაწყოები, მათ შორის, კომპიუტერი იმ ფარგლებში, რომ ის ხელს არ შეუშლის სასამართლო პროცესის მიმდინარეობას.

5. ჯგუფის შეფასება

5.1 შეფასების სისტემა

5.1.1 ჯგუფები ფასდებიან როგორც წერილობითი დოკუმენტის, ისე ზეპირი გამოსვლის საფუძველზე.

5.1.2 წერილობითი დოკუმენტის შეფასების შემდეგ, ქულები ნულდება და შემდეგ ეტაპზე გადასვლა ხორციელდება მხოლოდ ზეპირ ეტაპზე მიღებული ქულების საფუძველზე.

5.1.3 წერილობითი დოკუმენტის შეფასება განხორციელდება შეჯიბრის ორგანიზატორის მიერ, ხოლო ზეპირი გამოსვლის შეფასება მოსამართლეების მიერ. შეფასება განხორციელდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

5.2 წერილობითი დოკუმენტის შეფასება

5.2.1 წერილობითი დოკუმენტი შეფასდება 100 ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- წერილობითი დოკუმენტის და არგუმენტაციის სტრუქტურა - 30 ქულა
- სამართლებრივი დასაბუთებულობა და წყაროების რაოდენობა/რელევანტურობა - 50 ქულა
- ამ წესების მე-3 თავით განსაზღვრული წესების დაცვა - 20 ქულა

5.2.2 წერილობითი განაცხადის შეფასებისას პლაგიატიზმის აღმოჩენის შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვთ გააუქმონ ჯგუფის მიერ მიღებული შედეგი და მოახდინონ მისი დისკვალიფიკაცია.



5.3 ზეპირი გამოსვლის შეფასება

5.3.1 ზეპირ გამოსვლას აფასებენ მოსამართლეები მათთვის წინასწარ გადაცემული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ჭკუფების შეფასება ხორციელდება ზეპირი გამოსვლის დასრულებისთანავე.

5.3.2 თითოეული მოსამართლე ჭკუფის გამომსვლელ თითოეულ მონაწილეს აფასებს 100 ქულიანი სისტემით. ჭკუფის მიერ მიღებულ ქულას წარმოადგენს მონაწილეების მიერ მიღებული ქულების ჯამი.

5.3.3 მონაწილეთა შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

- საკვლევი საკითხის ცოდნა - 20 ქულა
- პრეზენტაბელურობა - 20 ქულა
- კითხვებზე პასუხი - 20 ქულა
- დროის მენეჯმენტი - 20 ქულა
- გუნდურობა - 20 ქულა

5.4. ნახევარფინალური და ფინალური ეტაპები

5.4.1 ნახევარფინალურ ეტაპზე გადავა წერილობით ეტაპზე შერჩეული საუკეთესო შედეგის მქონე 4 ჭკუფი.

5.4.2 ფარული კენჭისყრის საფუძველზე მოხდება ჭკუფების და პოზიციის განაწილება ნახევარფინალური თამაშისათვის.

5.4.3 ფინალურ ეტაპზე გადავა ნახევარფინალური თამაშის გამარჯვებული ორი ჭკუფი.

5.4.4 ფინალურ ეტაპზე მხარეთა პოზიციების განაწილება მოხდება ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

5.4.5 იმ შემთხვევაში თუ, ერთმანეთს შეხვდებიან ის ჭკუფები, რომლებიც წინა ეტაპზე უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, თითოეული ჭკუფი წარადგენს მათი შეხვედრისგან განსხვავებულ პოზიციას (პოზიციები იცვლება).


6. დაჯილდოება

6.1 შეჯიბრის ბოლოს გამოვლინდებიან გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:

- შეჯიბრის გამარჯვებული გუნდი
- საუკეთესო წერილობითი დოკუმენტის ავტორი გუნდი
- საუკეთესო მომხსენებელი

6.2 გამარჯვებულებს გადაეცემათ ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის საჩუქარი და მონაწილეობის სერტიფიკატები.

7. დასკვნითი დებულებები





- 7.1 ორგანიზატორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს წინამდებარე წესები და ამის შესახებ ელექტრონული ფოსტის საშუალებით აცნობოს შეჯიბრში მონაწილე ჯგუფების საკონტაქტო პირებს. საკონტაქტო პირებთან კომუნიკაცია გულისხმობს შეჯიბრში მონაწილე ჯგუფთან კომუნიკაციას.
- 7.2 წინამდებარე წესებში ნებისმიერი უზუსტობის ან/და ბუნდოვანების შემთხვევაში, მისი განმარტება უნდა მოხდეს შეჯიბრის მიზნიდან გამომდინარე.
- 7.3 აღნიშნული წესები ძალაში შედის მონაწილე ჯგუფებისათვის ხელმისაწვდომად გახდომის მომენტიდან და ძალაში არის შეჯიბრის დასრულებამდე.

